ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობები

გიორგი მურჯიკნელი

თურქეთ - რუსეთის ორმხრივი ურთიერთობები 2015-2016 წლებში

ნაშრომი დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2017

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის დევიაციური ქცევის მაგალითი. კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკური კურსის მკვეთრი დაპირიპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე ცვლილება.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ჰიპოთეზა: 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე - თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, თურქეთისა და რუსეთის ევროკავშირთან დაძაბულ ურთიერთობას, რუსული სანქციების ეკონომიკურ გავლენასა და ლიდერთა პიროვნულ ფაქტორებს უკავშირდება. კვლევაში არსებული ჰიპოთეზის ტესტირებისთვის გაანალიზებულ იქნა - რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები XXI საუკუნეში, 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ ორი ქვეყნის დაპირისპირება და დაწესებული სანქციების შედეგები, რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობები დასავლეთთან და სახელმწიფოთა ლიდერებს შორის არსებული პიროვნული კავშირებისა და 2016 წლის ზაფხულში თურქეში სამხედრო გადატრიალების უშედეგო მცდელობის გავლენა პროცესებზე.

აღნიშნული ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში უკვე არსებული თეორიის ინტერპრეტაციაა. ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის, კერძოდ თეორიტიკოს გიდეონ როუსის მიხედვით ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი პოსტულატების, მეშვეობით ახსნილია 2015-2016 წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის (რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე) ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები.

Annotation

The main aim of the paper is to study Turkey-Russia relations in 2015-2016 years on the example of the deviative behavior of Turkey's foreign policy. In particular, changes from the sharp confrontation of foreign policy toward Russia to their close cooperation. The work presents hypothesis: The sharp changes of vector between Turkey and Russia from conflict to cooperation after the incident in November 2015. State coup attempt in Turkey, Russia and Turkey's tense relationship with the EU, is connected to economic influence of Russian sanctions and leaders' personal factors.

To test the stated hypothesis the following factors were analyzed: Russia-Turkey relations in the XXI century, two country's confrontation after the incident in November 2015 and the results of the sanctions, Russia and Turkey relations with the West and personal connections between the leaders of the states and the impact of a failed coup attempt in 2016 on the whole processes.

Mentioned paper is the interpretation of already occurred theory in International Relationship Discipline. Neoclassical realism theory, in particular, the postulate of the country's foreign policy formation according to Gideon Ross. It is explained the influence of facts on the formation of Turkey's foreign policy (from conformation to close cooperation with Russia) in 2015-2016.

სარჩევი

შესავალი 5

1. ლიტერატურული მიმოხილვა 11

2. კვლევის მეთოდები 14

3. XXI საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 16

4. რუსეთ თურქეთის დაპირიპირება 2015 წელი 20

4.1 თანამშრომლობა ინციდენტამდე 20

4.2 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტი და ურთიერთობების კრიზისი 23

4.3 კრიზისის დასასრული 26

5. 2015-2016 წლები თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორები 28

5.1 სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში 28

5.2 თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები დასავლეთთან 31

5.3 რუსული სანქციების გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე 35

5.4 ლიდერის როლი 40

6. თეორიული ჩარჩო 42

7. დასკვნა 44

8. ბიბლიოგრაფია 46

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, თურქეთის ახლომდებარე სამეზობლოში, ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, ე.წ. მსოფლიო დიდ ძალას (great power) უდაოდ და ერთმნიშვნელოვნად რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს. თურქეთის სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რუსულ-თურქული დაპირისპირება თუ თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკურ-ენოკომიკური კავშირები და დაპირისპირება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის უდაოდ მუდმივი ინტერესის საგანია.

21-ე საუკუნის დასაწყისი რუსეთ თურქეთს შორის თანამშრომლობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხანაა. 2002 წელს თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს თავჯდომარემ, გენერალმა თუნჩერ კილინჩმა (Tuncer Kilinc) ევროკავშირის ქვეყნების საწინააღმდეგოდ, აშშ-ის ინტერესების უგულვებელყოფით, რუსეთთან და ირანთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. გარკვეულწილად სწორედ ამ ხელშეკრულებას უკავშირდება 2003 წელს, აშშ-ს ერაყული კოალიციიდან თურქეთის გამოთიშვას. ოფიციალურმა ანკარამ საკუთარი ტერიტორიის, ერაყში შეჭრის მომზადების მიზნით, ამერიკელი სამხედროებისთვის დათმობაზე უარი განაცხადა. ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი ფაქტს ე.წ. „ამერიკული გრანდ სტრატეგიის“ ჩავარდნად განიხილავს. ამ პრეიოდში კი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ოფიციალურ დონზე მკვიდრდება ტერმინი „სტრატეგიული თანამშრომლობა“ (Aktürk 2013, 3-5). კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები. თუ 2001 წლისთვის რუსეთ თურქეთს შორის ვაჭრობის მაჩვენებელი 5 მილიარდს აშშ დოლარს შეადგენდა, უკვე 2007 წლისთვის ანალოგიურმა მაცვენებელმა 25 მილიარდს გადააჭარბა (Ministry of Foreign Affairs of Turkey).

ახლო აღმოსავლეთში მზარდი ექსტრემიზმისა და 2011 წელს სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომის ფონზე რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის ინტერესები რეგიონში ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-სტრატეგიული აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა. თუ კრემლისთვის მისაღები იყო სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმის შენარჩუნება, ოფიციალური ანკარა ასადის მმართველობის დასასრულის მომხრეთა რიგებს მიეკუთვნებოდა. 2014 წელს სირიის კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩართვა რუსეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკური დაპირისპირების საგანი გახდა. 2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის (სუ-24) ჩამოგდების შემდგომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. საპასუხო ზომების სახით მოსკოვმა ანკარას ეკონომიკური სანქციები დაუწესა. ქვეყნებს შორის პოლიტიკურმა დაძაბულობამ მკვეთრი დაპირიპირების სახე მიიღო.

2016 წლის ივლისში თურქეთში ფეთჰულა გიულენის მომხრეთა მიერ წარუმეტებელი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ყინულის ლღობის პროცესი იწყება. სახელმწიფოთა პირველ პირებს შორის შემდგარი სატელეფონო და წერილობითი კომუნიკაცია, 2016 წლის აგვისტოში, მოსკოვში ვლადიმერ პუტინსა და რეჯეპ ტაიპ ერდოღანს შორის გამართული ორმხრივი შეხვედრით დაგვირგვინდა. მომდევნო 4 თვის განმავლობაში ლიდერები კიდევ 2-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები, დროის მცირე მონაკვეთში, მკვეთრი დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე შეიცვალა.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის სტრატეგიულ დონეზე გასაგებად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების პრეოფესორის, თურქეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის (2009-2014 წლებში) აჰმედ ჩავიშოღლუს წიგნი სტრატეგიული სიღრმე („strategic depth“), რომელიც 2001 წელს გამოიცა. მიიჩნევა, რომ აღნიშნული ნაშრომი 2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) საგარეო პოლიტიკური

დოქტრინაა. აჰმედ დავითოღლუ ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც აკადემიური სფეროს წარმომადგენელი იყო, ხოლო დაკავებულმა თანამდებობამ და ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა ძალამ თეორიული იდეების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა მისცა. დავითოღლუს დოქტრინას ხშირად ნეო-ოტომანიზმსაც უწოდებენ, სადაც უმთავრესი მნიშვნელობა გეოპოლიტიკურ ელემენტებს აქვთ, თუმცა გათვალისწინებულია რბილი ძალისა და კონფლიქტის მოგვარების ე.წ. „მოგებული - მოგებული“ (promotions Win-Win solutions) ფორმულა. დავითოღლუ თურქეთს ქვეყანათა იმ მცირე ჯგუფს მიაკუთვნებს, რომლებსაც საკუთარი გეოპოლოტიკური და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე „ცენტრალურ ძალას“ უწოდებს. მისი ხედვით თურქეთი წარმოდგენილია ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის, ბალკანეთის, ცენტრალური აზიის, შავი ზღვის, კასპიის ზღვის, კავკასიის და სპარსეთის ყურის რეგიონებში. ყოელივე ეს თურქეთს განსაკუთრებულ როლსა და შესაძლებლობას ანიჭებს გახდეს მნიშვნელოვანი მოთამაშე საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. აქვე უარყოფს თურქეთის, როგორც ისლამურ სამყაროსა და დასავლეთს შორის ხიდის ფუნქციის მქონე სახელმწიფოს როლს, რადგან ეს უკანასკნელი ანკარას უბიძგებს ახლო აღმოსავლეთში სხვათა ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებისკენ. სამაგიეროდ ხაზს უსმევს თურქეთის ისტორიასა და კულტურაზე დაფუძნებული რბილი ძალის პოტენციალის გამოყენების აუცილებლობას, რომელიც ქვეყანას რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ აქცევს (Grigoriadis 2010, 4-6).

დავითოღლუს ნეო-ოტომანიზმის დოქტრინაში ხაზგასმულია თურქეთის, როგორც „ცენტრალური ძალის“ როლი, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა განავითაროს საკუთარი ინტერესები ახლო აღმოსავლეთში და არ იქცეს ე.წ. „დასავლეთის ხიდად“ ისლამურ სამყაროსთან. ეს მოცემულობა ანკარას აიძულებს რეგიონში სხვისი ინტერესების გატარებას. ასეთი იდეოლოგიური მოცემულობის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა ქვეყნის პრესტიჟი

საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრების რეგიონის ძლიერ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

2010 წლის 31 მაისს ისრაელის სანაპიროდან 72 საზღვაო მილის დაშორებით, ისრაელის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალებმა რეიდით აიყვანა თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი, 6 გემისგან შემდგარი ფლოტილია. ფლოტილია თურქეთიდან ღაზას სექტორის მიმართულებით მიცურავდა. გადაჰქონდა ჰუმანიტარული ტვირთი რეგიონში მცხოვრებთათვის და გადაჰყავდა ადამიანები. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ „მოძრაობა თავისუფალი ღაზა“ და თურქეთში დაარსებული „ადამიანის უფლებათა, თავისუფლებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდი“. ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ჩატარებული რეიდის შედეგად გარდაიცვალა ჰუმანიტარული დახმარების ფონდის 10 აქტივისტი. ათივე მათგანი თურქეთის მოქალაქე იყო. ებრაული მხარის მტკიცებით გემები დატვირთული იყო იარაღით, რომელიც გადაჰქონდათ ღაზას სექტორში. გაეროს საგამოძიებო ანგარიშის მიხედვით გემზე იარაღის არსებობა არ დადასტურდა. ისრაელის ქმედება ჩაითვალა არამართლზომიერად (Report of the Secretary-General's Panel of Inquiry; 2011). შემთხვევას თურქეთსა და ისრაელს შორის დიპლომატიური სკანდალი და ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება მოჰყვა. თურქეთის ეროვნულმა საგამოძიებო კომისიამ ისრაელი სამხედრო დანაშაულის ჩადენაში სცნო დამნაშავედ (TURKISH NATIONAL COMMISSION OF INQUIRY). 2011 წელს გამოქვეყნდა გაეროს საგამოძიებო კომისიის ანგარიში (ე.წ. პალმერის ანგარიში), რომელმაც ისრაელი ცალსახად დამნაშავედ სცნო, ამავდროულად ჰააგის ტრიბუნალმა ისრაელი სამხედრო დანაშაულის ჩადენაში ამხილა. მხოლოდ 2013 მარტი, აშშ-ის ბარაკ ობამას ისრაელში ვიზიტის შემდგომ აღიარა ისრაელის პრემიერმა ბენჟამინ ნეთანიაჰუმ თელავივის დაშვებული შეცდომა, გამოთქვა საჯარო მწუხარება დაღუპულთა ოჯახების მიმართ და ოფიციალურად მოუბოდიშა თურქეთის მთავრობას. გამოთქვა მზაობა გადაეხადა შესაბამისი კომპენსაცია (Israel Today, 2013). 2013 წლის 19 მაისს დანიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თურქეთის ლიდერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა

მიიღო ისრაელის ბოდიში, ღრმა მწუხარება გამოთქვა დაღუპულთა გამო. მომხდარს ადამიანური კატასტროფა უწოდა. ხოლო ისრაელსა და თურქეთის გაუარესებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით საკითხის კომენტირებისას განაცხადა, რომ იმედოვნებს ურთიერთობები მალე აღდგება ორ ქვეყანას შორის (Politiken 2016). მიუხედავად პოლიტიკური ნების არსებობისა და პრინციპული შეთანხმებისა მხარეებს შორის ურთიერთობების დამარეგულირებელი ხელშეკრულება მხოლოდ 2016 წლის 29 ივნისს გაფორმდა. ისრაელი კომპენსაციის სახით 20 მილიონი აშშ დოლარის გადახდას დასთანხმდა (Ministry of Foreign Affairs of Israel, 2016). მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის მომხდარი ინციდენტი ჯერ საერთაშორისო ტრიბუნალმა განიხილა, განვითარებულ მოვლენებში მედიატორის როლი ითამაშა აშშ-მა და შემდგომ თავად ქვეყნებმა მიაღწიეს ურთიერთობების ნორმალიზაციაზე შეთანხმებას ანკარასა და ისრაელს შორის ნდობის აღდგენის პროცესი მეტად გაჭიანურდა. 2010 წლის კრიზისიდან 7 წლის შემდეგ, 2017 წლის 7 თებერვალს ისრაელში ჩავიდა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი ნაბი ავჩი (Nabi Avci). აღნიშნული ფაქტი კრიზისის შემდგომ მხარეებს შორის სამთავრობო დონეზე გამართული პირველი ოფიციალური ვიზიტია (dailysabah 2017).

განხილულ შემთხვევაში თურქეთმა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთ ლიდერ სახელმწიფოსთან საკუთარი ქვეყნის პრესტიჟი დაიცვა და მიაღწია დიპლომატიურ წარმატებას. ფლოტილიის ქეისისგან განსხვავებით, 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ (თურქეთის თავდაცვის ძალებმა, ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის მოტივით რუსული ბომბდამშენი სუ-24 ჩამოაგდო) თურქეთის ქმედება განსხვავებულია. ანკარა ირჩევს მოსკოვთან აშკარა დაპირისპირების გზას, რის შემდგომაც მოკლევადიან პერიოდში, 7-9 თვის შემდგომ სრულიად ცვლის საგარეო პოლიტიკური კურსს რუსეთთან მიმართებაში, იხდის ბოდიშს და დაპირისპირების რეჟიმიდან თანამშრომლობის რეჟიმზე სწრაფად გადადის. შემთხვევა თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის არადამახასიათებელია, და

წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის დევიაციური ქცევის ერთ-ერთ მაგალითს.

ქვემოთ მდებარე ნაშრომის მიზანია 2015-2016 წლების პერიოდში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში განვითარებული მოვლენების, კერძოდ თურქეთის სახელმწიფოს დევიაციური ქცევის, რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესწავლა. ნაშრომის **საკვლევი კითხვაა** თუ, რამ განაპირობა 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, დროის მოკლე მონაკვეთში, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე? წარმოდგენილია **ჰიპოთეზა**: 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე - თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, თურქეთისა და რუსეთის ევროკავშირთან დაძაბულ ურთიერთობას, რუსული სანქციების ეკონომიკურ გავლენასა და ლიდერთა პიროვნულ ფაქტორებს უკავშირდება. ნაშრომში **დამოკიდებულ ცვლადს** წარმოადგენს: 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, დროის მცირე მონაკვეთში, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე, ხოლო **დამოუკიდებელ ცვლადებს**: 2016 წლის 15-16 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თურქეთში, რუსეთისა და თურქეთის დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან, რუსული სანქციების გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე და რუსეთსა და თურქეთში რეჟიმების ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი ბუნება და ლიდერების პიროვნული ფაქტორი.

ჰიპოთეზის გასამყარებლად ნაშრომში მოყვანილია 2015-2016 წლებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორები. განხილულია 2016 წლის ზაფხულში თურქეთში მომხდარი გადატრიალების მცდელობა, რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობები დასავლეთთან, რუსული სანქციების გავლენა თურქეთის

ეკონომიკაზე და ორი ქვეყნის ურთიერთობებში ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმებისა და ლიდერების როლი. ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად ნაშრომში გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია, კერძოდ გიდეონ როუსის მიხედვით ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი პოსტულატები.

1. ლიტერატურული მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობებში ახალი შესაძლებლობების ფაქტრო სპექტრი შეიქმნა. 1990-იანი წლებიდან ორი ქვეყნის ურთიერთობებმა ორმხრივ და მრავალმხრივი შეთანხმებების გზით დაიწყო განვითარება. 1992-1993 წლებსი ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ოფიციალური ვიზიტები ქვეყნებს შორის რამდენიმე ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. უსაფრთხოების სფეროში ქვეყნების მესამე სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის დაცვაზე შეთანხმდნენ, დაიდო ორმხრივი ვაჭრობის ხელშეკრულებაც. ნელი ტემპებით თუმცა ვითარდებოდა თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (Yucel V. & Ruysdael S. 2002, 175-197).

2000 წელს რუსეთში ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისა და 2002 წელს ტურქეთსი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებით ორი ქვეყნის ისტორიაში ურთიერთობების ახალი ერა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის არსებობდა პოლიტიკური დაპირიპირების წიტელი ხაზები, ანკარა და მოსკოვი, როგორც რეგიონში განვითარებადი ძალის (emerging powers) მქონე სახელმწიფოები ეკონომიკის, ენერგეტიკის, სამხედრო ტექნიკურ სფეროსა და სხვა სტრატეგიულ მიმართულებებზე თანამშრომლობის ძაფებს აბავდნენ. მიუხედავად უკრაინასა (ყირიმის საკითხი) და სირიაში განვითარებული მოვლენებისა (2011 წლის სამოქალაქო ომი, 2015 წლის

სექტემბერში რუსეთის ინტერვენცია) ტურქეთმა და რუსეთმა სტრატეგიული თანამშრომლობის შესაზლებლობა ენერგეტიკის სფეროში დაინახეს. ცივი ომის შემდგომი ჰეგემონიზმს საერთაშორისო სისტემაში უნიპოლარიზმი ცვლის, სადაც წამყვანს როლს სამხედრო ძალის ფაქტორთან ერთად ეკონომიკური და ენერგო შესაძლებლობები ქმნის. თურქეთმა საკუთარი თავი, სტრატეგიულ დონეზე დაინახა როგორც ევროპის ენერგო ჰაბი. მეორე მხრივ რუსეთისთვის თურქეთის მიმართულება აღმოსავლეთ ევროპის, როგორც ენერგო დერეფნის დივერსიფიცირების საშუალებაა. მსგავს მოცემულობაში ორივე მათგანი, როგორც რეგიონის განვითარებადი ძალა იწყებს სტრატეგიულ დონეზე თანამშრომლობას. ამ კონტექსტში, წარმატებით განხორციელდა ე.წ. ლურქი ნაკადის პროექტი და ხელი მოეწერა თურქეტის ნაკადის განხორციელების გეგმას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წლისთვის რუსეთი ტურქეთისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელია. მოვლენების ამგვარი განვითარების შედეგად თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებმა ერთობლივად კონფლიქტისა და ურტიერთთანამშრომლობის სახე მიიღეს, სადაც თურქეტი ასიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებაშია რუსეთის ფედერაციასთან (Öniş Z. & Yılmaz Ş, 2015 4-17).

თურქეთისა და რუსეთის მიმდინარე ურთიერთობებში (2015-2017 წლები) გადამწყვეტ როლს თამაშობს 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტი (თურქულმა გამანადგურებელმა F-16 რუსული თვითმფრინავი SU-24 ჩამოაგდო) და 2016 წლის 15-16 ივლისს თურქეთში არშემდგარი სამხედრო გადატრიალება. პირველ შემთხვევაში თურქეთმა დასავლელი პარტნიორებისგან ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა და საკუთარი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა რუსეთთან ურთიერთობების გათიშვით დაამძიმა. 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობა კი რუსეთთან ურთიერტობების დალაგების აუცილებლობის ნათელი დადასტურება აღმოჩნდა. ერდოღანის ხელისუფლებამ ნაცვლად დასავლეთისა მხარდაჭერა კრემლისგან იგრძნო. ამას დაერთო წლების განმავლობაში (2002 წლიდან) თურქეთ-რუსეთს შორის განვითარებული ეკონომიკური ურთიერტობების

ასიმეტრიული ბუნება, სადაც თურქეთი უფრო მეტად იყო დამოკიდებული რუსეთზე ვიდრე პირიქით. შესაბამისად ეკონომიკურმა სანქციებმა (ერთი წლის განმავლობაში მშპ-ს 0,7% დაკარგა) გავლენა იქონია თურქეთის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. ამასთანავე ქვეყნის პრეზიდენტ ერდოღანისთვის, ბევრად მარტივი არმოჩნდა რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინთან, კარგი პიროვნული ურთიერთობების გამოისობით, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აღდგენა (Mankoff J. 2016).

ბრუკინგის ინსტიტუტის (BROOKINGS Institutions”) საგარეო პოლიტიკის, აშშ-ისა და ევროპის კვლევების ცენტრის „თურქეთის პროექტის“ ხელმძღვანელი, უფროსი მკვლევარი ქემალ კირისკი (Kemal Kirisci) საკუთარ წიგნში „თურქეთი და დასავლეთი“ („Turkey and the West“) საუბრობს თურქეთის საგარეო პოლიტიკური როლის ტრანსფორმირებაზე. ახალი რეალობიდან გამომდინარე ხაზს უსმევს შექმნილ უპრეცენდენტო გარემოებას, როცა ნატოს წევრი ქვეყანა აღმოჩნდა ფრონტის წინა ხაზზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. განიხილავს რა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს, მიიჩნევს რომ 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, ოფიციალური ანკარის საგარეო პოლიტიკური კურსის მკვეთრი პრორუსული პოლიტიკისკენ მობრუნება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. 2015 წლის ზაფხულში, თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ ქვეყნის სათავეში მყოფ ერდოღანის ხელისუფლებას „ფეტოს“ სახით კონკურენტი გამოუჩნდა. სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის ბრალდებით ქვეყანაში მასობრივი დაკავებები მიმდინარეობდა. ევროკავშირის მიერ პროცესი შეფასებული იქნა ადამიანის უფლებების დარღვევად და დემოკრატიისთვის საფრთხედ. ბრიუსელსა და ანკარას შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაიძაბა, თურქეთმა ვერ მიიღო ვიზალიბერალიზაცია. პროცესებში პასიური როლის თამაშით შემოიფარგლა აშშ. აღნიშნული გარემოებების ურთიერთმოქმედ ეფექტს უკავშირებს მკვლევარი თურქეთისა და რუსეთს შორის ურთიერთობების სწრაფ ნორმალიზაციასა და მჭიდრო თანამშრომლობის დასაწყისს (Kirisci, 2017).

2. კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია სოციალური კვლევის მეთოდი - მონოგრაფიული გამოკვლევა (Key study, სიტყვასიტყვით: შემთხვევის შესწავლა), რომელიც "ცალკეული შემთხევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით" (ზურაბიშვილი 2006, 61). მონოგრაფიული კვლევის ფარგლებში გამოიყენება მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. ამ უკანასკნელის მთავარი უპირატესობა პრობლემის სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლის უნარია (ზურაბიშვილი 2006, 62-63).

ნაშრომში მოყვანილი ცვლადების ილუსტრაციისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: დისკუს ანალიზი, რომელიც დაწერილი, ვერბალური და ვიზუალური წყაროების საშუალებით აგროვებს მონაცემებს (Somekh&Lewin 2005, 146), აგრეთვე შედარებითი ანალიზი და დოკუმენტების შესწავლა. დამოკიდებული ცვლადის (თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე) ილუსტრაციისთვის გამოყენებულია შედარებითი და დისკუს ანალიზი. ნაშრომში ნაჩვენებია 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება. ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირება ილუსტრირებულია პირველი პირების ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით, ეკონომიკის სფეროში მიმდინარე საერთო პროექტების შეჩერებისა და დაწესებული სანქციების გამოყენებით. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაპირისპირებიდან თანამშრომლობაზე გადასვლის საჩვნებლად გამოყენებულია შედარებითი ანალიზი. ნაშრომში გაანალიზებულია 2016 წლის აგვისტოს შემდგომ რუსეთსა და თურქეთს შორის აღდგენილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობის ახალი სფეროები. ნაშრომში დამოუკიდებელი ცვლადი, 2016 წლელს თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა

ნაჩვენებია მოვლენათა ქრონოლოგიური დალაგების გზით. ინდივიდუალურად რუსეთისა და თურქეთის ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობების თვალსაჩინოებისთვის განხილულია არსებული ეკონომიკური სანქციები, უმაღლესი პოლიტიკური პირების კრიტიკული განცხადებები, რიგი საკითხები რომლებიც მხარეთა შორის ინტერესთა დაპირიპირების საგანია: უკრაინის კრიზისი, უსაფრთხოების საკითხები, მიგრანტთა კრიზისი, ვიზალიბერალიზაცია, ადამიანის უფლებები. ნაშრომში მოყვანილი კიდევ ერთი დამოუკიდებელი ცვლადის, რუსეთის მიერ დაწესებული სანქციების თურქეთის ეკონომიკაზე გავლენის ოპერაციონალიზაცი,ა განხორციელებულია სანქციებამდელი და სანქციების შემდგომი თურქეთის ეკონომიკის მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზის გამოყენებით. უკანასკნელი დამოუკიდებელი ცვლადის, რუსეთსა და თურქეთში რეჟიმების ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი ბუნებისა და ლიდერების პიროვნული ფაქტორის ილუსტრაციისთვის ნაშრომში გამოყენებულია დისკუს ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის ფარგლებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების თემატიკაზე მომუშავე ანალიტიკოსების, ექსპერტებისა და მკვლევარების განცხადებები, გამოქვეყნებული სტატიები, დოკუმენტები და ინტერვიუები იქნა შესწავლილი.

ნაშრომში მოყვანილი შემთხვევა უკვე არსებული თეორიის ინტერპრეტაციაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი ფაქტი (Odell 2001, 163-165). ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით, მკითხველისთვის თავლსაჩინოა დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის არსებული კავშირი. ზემოაღნიშნული მეთოდის ფარგლებში შესწავლილია 2015-2016 წლებში რუსეთ თურქეთს შორის არსებული ურთიერთობებში, თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის არადამახასიათებელი ალოგიკური ქცევა: დროის მცირე მონაკვეთში საგარეო პოლიტიკური ვექტორი მკვეთრი ცვლილება, რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირიპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე. ამ უკანასკნელს მიესადაგა უკვე არსებული თეორია,

რომლის საფუძველზეც ახსნილია თურქეთის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები და ქცევის მოტივები.

3. XXI საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

XXI საუკუნე რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებისთვის ახალ ეტაპზებზე გადასვლით ხასიათდება. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციით, 2001 წელს თურქი კოლეგის მოწვევის საფუძველზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ოფიციალურმა ვიზიტმა თურქეთში ქვეყნებს შორის ურთიერთობას ახალი ბიძგი მისცა. ამ ვიზიტზე მხარეები, მათ შორის, ევრაზიის რეგიონში, თანამშრომლობის გაფართოებაზეც შეთანხმდნენ. 2001 წელს მხარეების მიერ ხელმოწერილი "ევრაზიაში თანამშრომლობისთვის ერთობილივი მოქმედების გეგმა" ორმხრივი და მრავალმხრივ ურთიერთობების განვითარებაზეა ორიენტირებული.

შემდგომ პერიოდში მაღალი დონის დიალოგმა თურქეთ-რუსეთს შორის რეგულარული სახე მიიღო და შესაძლო გაუგებრობების თავიდან აცილებისთვის კონსტრუქციოული როლი მოირგო.

2004 წელს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტი მოიცავდა თურქი და რუსი ბიზნესმენების რუსეთ-თურქეთის ბიზნეს საბჭოს ფორმატში შეხვედრასაც. ამავე ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის და რუსეთის აგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის 2004-5 წლებში კონსულტაციის პროგრამაც იქნა ხელმოწერილი. რამაც რეგულარული და ინსტიტუციური სახე მისცა ორმხრივი კონსულტაციის პროცესს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პოლიტიკური და

ეკონომიკური თანამშრომლობა, უსაფრთხოება და ტერორიზიმს წინააღმდეგ ბრძოლა, საკონსულო და კულტურული სფეროს საქმეები და ა.შ.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში პირველი უმაღლესი (საპრეზიდენტო) დონის ვიზიტი 2004 წელს შედგა, სადაც მხარეები თანამშრომლობის ინტენსიფიკაციაძე შეთანხმდნენ. ამ ვიზიტიდან მალევე თურქეთის საგარეო სამეთა მინისტრი ორი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთში. თანამშრომლობა მოგვიანებით გამოიხატა 2005 წლის ნოემბერში პრეზიდენტ პუტინის თურქეთში ვიზიტშიც, რომელიც "ლურჯი ნაკადის" გაზის მილსადენის (მრავალმილიარდ დოლარიანი გაზსადენი, რომელსაც რუსული გაზი შავი ზღვის გავლით თურქეთის მიმართულებით მიაქვს) ინაუგურაციის ცერემონიასთან დაკავშირებით განხორციელდა .

რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობა ვითარდებოდა რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კუთხითაც. ამის გამოხატულება იყო 2006 წელს რუსეთის მოანწილეობა "ოპერაცია შავი ზღვის ჰარმონიაში" და 2007 წელს ბისეკის 15 წლისთავის სამიტში. მხარეებს შორის ურთიერთობის პოზიტიური დინამიკის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ რუსეთში 2008 წელს თურქეთის კულტურული წელი აღინიშნა (MFA Turkey).

ურთიერთობის განვითრების დინამიკას კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს რუსეთის სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემები მხარეებს შორის ვაჭრობის მოცულობასთან დაკავშირებით. თვალშისაცემია, რომ 2000 წლიდან ორივე მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.



წყარო: რუსეთის სტატისტიკის სამსახური

გაზრდილმა სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირებმა გავლენიანი პრო-რუსული ბიზნეს-ლობი შექმნა თუქრეთში. თავის მხრივ, ბიზნეს და პოლიტიკურ ჯგუფებს რუსეთშიც მნიშვნელოვანი ინტერესი გაუჩნდათ თურქეთთან კარგი ურთეიღრთობის მიმართაც.

ნიშანდობლივია 2010 წელს თურქეთის მიერ რუსეთის ე.წ. წითელი წიგნიდან - ქვეყნის მთავარი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან, საგარეო საფრთხეების ჩამონათვალიდან ამოღებაც. ეს მიდგომა და ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეტ დავუთოღლუს ხედვასთან "ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან" თანხვდება. შედეგად, თურქეთი ცდილობდა რუსეთთან მიამრთებით ურთიერთობაში აქცენტი ისეთ საკითხებზე გაკეთებულიყო, როგორებიცაა ეკონომიკურ და ენერგეტიკულ

სფეროებში თანამშრომლობა და შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფა.

გვოზდევი აღნიშნავს, რომ თურქეთის მიერ ორიენტირის რუსეთის სასარგებლოდ ცვლილება კარგად გამოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისას დაკავებული პოზიციებისასაც. მისი აზრით, თუკი იქამდე თურქეთის მთავრობა მკაფიოდ საქართველოს მხარდამჭერ პოზიციას დაიკავებდა, ამჯერად პრემიერ-მინისტრი ერდოღანი შეეცადა მოსკოვსა და თბილისს შორის მედიატორის როლი ეთამაშა და კავკასიაში რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით სტაბილურობის პაქტის მოწოდებით გამოვიდა. გვოზდევის შეფასებით, ეს რუსეთისთვის სასიამოვნო, ევროკავშირისა და ნატოსთვის კი იმის მაინშნებელი ჟესტი იყო, რომ თურქეთი პოზიციებს იცვლიდა (Gvosdev, 2013, 293-335).

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განვითარების პოზიტიური დინამიკა გაგრძელდა მომდევნო წლებშიც, 2009 წელს თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულის ვიზიტით მოსკოვში და 2010 წელს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ვიზიტით ანკარაში, სადაც მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა “სრულმასშტაბიანი სტრატეგიული პარტნიორობის დონეს აღწევდა”. ურთიერთობების განვითარებისკენ მიმართული რიტორიკა შენარჩუნდა 2011 წელს თურქეთის პრემიერ ერდოღანის რუსეთში ვიზიტისასაც. თუმცაღა, 2011 წლიდანვე გამოიკვეთა რუსეთისა და თურქეთის პოზიციებს შორის განსხვავებები სირიის კრიზისისა და თურქეთის ნატოსთან თანამშრომლობის საკითხებზეც (Gvosdev, 2013).

4. რუსეთ თურქეთის დაპირიპირება 2015 წელი

4.1 თანამშრომლობა ინციდენტამდე

2015 წლის ნოემბრის კრიზისამდე, რუსეთსა და თურქეთს რიგ საკითხებში ურთიერთდაპირიპირებული პოლიტიკური ინტერესები გააჩნდათ. აღნიშნული წითელი ხაზები ტრადიციულად სამხრეთ კავკასიაზე გადის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის განვითარებული ყარაბახის კონფლიქტი ანკარასა და მოსკოვს შორის აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ იქცა. თურქეთი ერთის მხრივ მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის უპირობო მხარდამჭერია, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები ზურგ უმაგრებს ერევანს (Svante Cornell, 1998, 67-69). კავკასიის რეგიონში, თურქეთსა და რუსეთს შორის დამატებით ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკური ინტერესების წარმომშობი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ხუთდღიანი ომი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი, აზერბაიჯანთან და ამერიკასთან ერთად საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და მისთვის მიუღებელია რუსეთის მხრიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძალის პირდაპირი გამოყენებით საკუთარი ინტერესების გატარება, 2008 წელს ანკარამ კრემლთან მკვეთრი დაპირისპირებისგან თავი შეიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ცნობს რუსეთის მიერ აღიარებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობას. 2014 წელს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში კიდევ ერთი ისტორიული ინტერესთა კვეთის ადგილმა შეიძინა ახალი დატვირთვა. 2014 წლის მარტში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ანკარას მხრიდან მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. თურქეთს ყირიმში მცხოვრები თათრების მიმართ ტრადიციული ინტერესები გააჩნია. 2015 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციამ განახორციელა სამხედრო ინტერვენცია სირიაში მიმდინარე კონფლიქტში. აღნიშნული ანკარასა და მოსკოვს შორის კიდევ ერთი წითელი ხაზის გამვლები ფაქტორი აღმოჩნდა. კრემლს ახლო აღმოსავლეთში გავლენის უკანასკნელი ბასტიონის, სირიის შენარჩუნება სურდა

(ტარტუს რუსული სამხედრო ბაზა), შესაბამისად კონფლიქტში ბაშარ ალ ასადის ხელისუფლების მხარდასაჭერად ჩაერთო. რეგიონში თურქეთის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ოფიციალური ანკარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმის შენარჩუნება. პოლიტიკური პოზიციის მოტივად სირიაში მცხოვრები ქურთების ავტონომია და თურქეთისთვის ტრადიციული ქურტისტანის პრობლემა სახელდება (Akturk Sener, 2016, 2-5).

მიუხედავად ურთიერთმკვეთი პოლიტიკური ინტერესებისა და ქვეყნებს შორის არსებული წითელი ხაზებისა, რუსეთიც და თურქეთიც ურთიერთობის რიგ საკითხებში მჭიდრო, სტრატეგიული თანამშრომლობის უნარს ავლენენ. ცივი ომის დასრულების შემდგომ რუსეთ-თურქეთს შორის არსებული ურთიერთობები დინამიური განვითარებით ხასიათდებოდა. 2000 წლეს რუსეთი პრემიერ მინისტრის მიხაილ კასიანოვის თურქეთში ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ერის საწყისად გადაიქცა. 2002 წელს თურქეთში, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ლიდერობით, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ რუსეთთან ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი შეიძინა. მომდევნო 10 წლის განმავლობაში 7-ჯერ გაიზარდა ქვეყნებს შორის ვაჭრობის მაჩვენებელი (Soli Ozel, 2016, 2-4). 1997 წელს ხელი მოეწერა გაზსადენის, ე.წ. „ლურჯი ნაკადის“ მშენებლობის პროექტს, სამშენებლო სამუშაოები 2002 წლის მაისში დასრულდა, ხოლო 2003 წლის თებერვლიდან რუსეთმა დაიწყო თურქეთისთვის გაზის მიწოდება. დღეისათვის გაზსადენი სრული დატვირთვით მუშაობს და წლის განმავლობაში 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ახდენს რუსეთიდან თურქეთში. (www.gazprom.com). 2014 წლის 1 დეკემბერს მხარეებმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი, მემორანდუმი კიდევ ერთი ახალი გაზსადენის ე.წ. „თურქული ნაკადის“ მშენებლობას ითვალისწინებდა. გაზსადენი თურქეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მოამარაგებს ბუნებრივი აირით (www.gazprom.com). საგულისხმოა, რომ დღეისათვის რუსეთი ბუნებრივი აირის მთავარი ექსპორტიორია თურქეთის რესპუბლიკაში და ამ მხრივ

ანკარის ენერგო დამოკიდებულება კრემლის მიმართ 2000-იანი წლებიდან განუხრელად იზრდება. ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის კუთხით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, 2010 წელის 12 მაისს რუსეთისა და თურქეთის პრემიერ მინისტრებმა (რეჯეპ ტაიპ ერდოღანი და დიმიტრი მედვედევი) აკკუიუს ატომური ენერგიის სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ (ე.წ. Nuclear Power Plant in Akkuyu) მთავრობათაშორისო ხელშეკრულება გააფორმეს (www.akkunpp.com).

ქვეყნებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი სფეროა სამხედრო ტექნიკით ვაჭრობასა და სამხედრო ტექნოლოგიებში თანამშრომლობა. ჯერ კიდევ 1994 წელს 20 აპრილს ქვეყნებს შორის დაიდო მთავრობათაშორისი შეთანხმება სამხედრო ტექნიკის სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე. ხელშეკრულება რეალურად 2001 წლიდან ამოქმედდა. თურქეთმა ხელშეკრულების ფარგლებში რუსეთისგან ka-50-2 kamov ტიპის ვერტმფრენები შეიძინა, კონტრაქტის ღირებულებამ 2,5 მილიარდი შეადგინა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თურქეთი პირველი ნატოს წევრი ქვეყანაა, რომელმაც რუსეთისგან სამხედრო შეიარაღება შეიძინა. 2001 წლის ნოემბერში ქ. ნიუ-იორკში, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „ევრაზიული თანამშრომლობისთვის, გაერთიანებული მოქმედების გეგმას“ ხელი მოაწერეს. 2004 წლის 5-6 რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთს, მხარეებს სორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაფართოება გაღრმავების ხელშეკრულება დაიდო. 2005 წლის 10-12 იანვარს თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოსკოვს. ქვეყნების ლიდერებს შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრებმა ინტენსიური სახე მიიღო, რაც პირველ რიგში რუსეთ-თურქეთის გაზსადენის პროექტის, ე.წ. თურქული ნაკადის დამსახურებაა. მხარეებს შორის თანამშრომლობის კიდევ ერთი გამოვლინება იყო 2006 წელს წვრთნებში „Operation black sea Harmony“ რუსი და თურქი სამხედროების მონაწილეობა (Ministry of Foreign Affairs of Turkey).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, განსაკუთრებით 2000-იანი წლებიდან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები თანამშრომლობის ხასიათის მატარებელია. ეტაპობრივად იზრდებოდა ქვეყნებს შორის ვაჭრობის მაჩვენებლები, ურთიერთობები განვითარდა სამხედრო ინდუსტრიულ სფეროში, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პიკმა კი თავი იჩინა ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების სახით. შეიძლება ითქვას , რომ ენერგეტიკის სფეროში რუსეთ თურქეთის თანამშრომლობამ, ქვეყნები ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიულ დონეზე აიყვანა.

4.2 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტი და ურთიერთობების კრიზისი

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო ძალების გამანადგურებელმა F-16-მა, თურქეთ სირიის საზღვართან ახლოს (საზღვრიდან 2.19 კილომეტრის დაშორებით ტურქეთის სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში), რუსული მოიერიშე თვითმფრინავი cy-24 ჩამოაგდო. თურქული მხარის განცხადებით, ქვეყნის საჰაერო ძალების თვითმფრინავი 17 წამის განმავლობაში აფრთხილებდა რუსულ მოიერიშეს თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ. რეაქციის უქონლობის გამო მიღებულ იქნა თვითმფრინავის ჩამოგდების გადაწყვეტილება. რუსული მხარის განმარტებით, თვიტმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სირიის საჰაერო სივრცეში და არა თურქეთის ტერიტორიაზე. cy-24-ის პილოტებმა კატაპულტირება მოასწრეს. ერთ-ერთი მათგანი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო სპეციალური დანისნულების რაზმმა მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან გამოიყვანა, ხოლო მეორე მფრინავი სირიაში მოქმედ ქურთული დაჯგუფების გახსნილ საარტილერიო ცეცხლს შეეწირა. გავრცელებული ინფორმაციით აღნიშნული დაჯგუფება თურქული მხარის

მიერ იყო გაწვრთნილი და შეიარაღებული (BBC NEWS). ინციდენტის შემდგომ რუსეთსა და თურქეთის შორის ურთიერთობების ახალი ისტორია დაიწყო.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოხმაურებამ არ დააყოვნა. პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თურქეთის ქმედებას, „ტერორისტემის მხარდამჭერების მხრიდან, ზურგში მახვილის ჩარტყმა უწოდა". მისივე თქმით რუსეთის ფედერაციის საპასუხო ქმედება არ უნდა ყოფილიყო ისტერიული და სახიფათო როგორც რუსეთის ასევე მთელი მსოფლიოსთვის. ქვეყნის ლიდერმა თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას ცინიკური, ომის დანაშაული უწოდა და დასძინა, რომ მხოლოდ ალაჰმა იცის რატომ ჩაიდინა ეს ქმედება თურქეთმა. აქვე დაანონსა საპასუხო ზომების მირების მიზნით ეკონომიკური სანქციების დაწესება თურქეთისთვის (theguardian).

საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა თურქეთის პრეზიდენტმა, მისი განცხადებით: „თუ ვინმეს აქვ ბოდიში მოსახდელად საქმე ეს თურქეთი არ არის, რადგან თურქი პილოტი საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტს იცავდა და რამდენიმე გაფრთხილების შემდგომ ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი" (BBC NEWS).

მოვლენამ გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს ლიდერების მხრიდან. 1950 წლის შემდგომ ეს პირველი შემთხვევა იყო როდესაც ნატოს წევრმა სახელმწიფომ რუსული თვითმფრინავი გაანადგურა. ფაქტთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა ჩრდილოეტ ატლანტიკური ალიანსის ანსამბლეა, სადაც თურქულმა მხარემ ორგანიზაციის წევრებს მომხდარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მსოფლიოს ლიდერებმა თურქეთსა და რუსეთს კონსტრუქციული ურთიერთობებისკენ მოუწოდეს. აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებით რუსეთის მხრიდან თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევა, სირიაში რუსეთის არაკეთილსინდისიერი მოქმედებების თვალსაჩინო მაგალითია (aljazeera).

2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომი პოლიტიკური ურთიერთობების კრიზისი ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობაზეც აისახა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და თურქეთს მუდმივად ჰქონდათ განსხვავებული ინტერესები და პოლიტიკური დაპირისპირების საბაბი რიგ საკითხებთან მიმართებაში, ყოველთვის ახერხებდნენ პოლიტიკური ინტერესებისდა მიუხედავად ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში წინსვლას. ამჯერად სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინდა მიიღო გადაწყვეტილება, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების სანაცვლოდ თურქეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ. სანქციების ფარგლებში შეიზღუდა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა, შეჩერდა მიმდინარე ენერგეტიკული პროექტები (გაზსადენი ტურქეთის ნაკადი და აკკუიუს ატომური ელექტრო სადგურის პროექტი), გაუქმდა უვიზო მიმოსვლა და ცარტერული ფრენები, დამატებითი ზომები იქნა შემოღებული რუსეთში მოღვაწე თურქული კომპანიებისა და თურქეთის მოქალაქეების მიმართ. დაწესებული სანქციები 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: თავი 5.3 რუსული სანქციების გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე).

2015 წლის 24 ნოემბრის შემდგომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა, რაც დაწესებულ სანქციებსა და პოლიტიკური ლიდერების მიერ ურთიერთაპირისპირებულ განცხადებებში გამოიხატა. შეწყდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ეკონომიკის, ენერგეტიკის, სამხედრო თანამშრომლობისა და სხვა სფეროებში. ორი ქვეყნის ურთიერთობებში კრიზისული პერიოდი დაიწყო.

4.3 კრიზისის დასასრული

2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ თურქეთსა და რუსეთს შორის უმაღლეს დონეზე კომუნიკაცია შეწყდა. ქვეყნები პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდნენ. ქვეყნის ლიდერებს შორის პირველი კომუნიკაცია 2016 წლის ივნისში შედგა, რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა კოლეგას, ვლადიმერ პუტინს ოფიციალური წერილი მიწერა, სადაც გამოთქვამდა მწუხარებას რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების გამო და აცხადებდა სურვილს რუსეთთან ურთიერთობების აღსადგენად (President of Russia). ურთიერთობების დეესკალაციის საწყისი 2016 წლის 9 აგვისტოს სანქტ პეტერბურგში პუტინსა და ერდოღანს შორის გამართული შეხვედრა გახდა. შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორი ქვეყნის ურთიერთობები ნორმალიზაციის შესახებ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. 2016 წლის 11 ოქტომბერს ლიდერებმა კრიზისის შემდგომი მეორე შეხვედრა გამართეს. შედეგად გადაწყდა სირიაში სიტუაციის დეესკალაციის მიზნით არასაფრენი ზონების შექმნა გადაწყდა. ამავე წლის 2 ნოემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტი ტელეარხ Russia 24-ისთვის მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში აცხადებს, რომ თავად სურს შეხვდეს დაღუპული რუსი მფრინავის ოჯახს და მოუხადოს ბოდიში დაშვებული შეცდომის გამო (Youtube). 2016 წლის დემებერში რუსეთის თურქეტის და ირანის ლიდერების სირიაში მიმდინარე მოვლენები განიხილეს, შეხვედრაზე განხილვის საგანს წარმოადგენდა ტერორისტების მიერ თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელობა. 2017 წლის 10 მარტი - ერდოღანისა და პუტინის შეხვედნენ კრემლში. თარიღი მიჩნეულია ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის დასასრულად. შეხვედრის შედეგად აკკუუიოს ატომური ელექტრო სადგური გამოცხადდა თურქეთის სტრატეგიული ინვესტირების ობიექტად და გადაწყდა, რომ 2023 წლიდან რუსეთი აღნიშნულ სადგურზე 15 მილიარდი დოლარის ინვესტირებას გააკეთებს. ასევე სრულად აღსდგა შავი ზღვის მილსადენის პროექტი, განახლდა თანამშრომლობა სამხედრო წარმოების სფეროში, ლიდერებმა პოლიტიკურ შეთანხმებას მიაღწის თურქეთისთვის რუსული წარმოების ცე-400 სარაკეტო სისტემების მიღებასთან

დაკავშირებით. 2017 წლის 24 აპრილს რუსეთსა და თურქეთს შორის ცე-400 ტიპის სარაკეტო კომპლექსის თურქეთისთვის მიყიდვის კონტრაქტს ხელი მოეწერა. ისტორიაში პირველად ნატოს წევრმა სახელმწიფომ მაღალი ტექნოლოგიური განვითარების მქონე სარაკეტო სიტემა შეიძინა რუსეთის ფედერაციისგან. რუსეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ქვეყნის თავდაცვის ძალებისა და სადაზვერვო სამსახურებს შორის ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის ფარგლებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს (CSIS).

2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, დროის მცირე მონაკვეთში (2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის აგვისტომდე), თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე მკვეთრი ცვლილება დაფიქსირდა. ერთ-შემთხვევაში ტურქეთის საჰაერო ძალების მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვანი შეფერხებისა და პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზი გახდა. მიუხედავად ყველაფრისა ინციდენტიდან შვიდი თვის შემდგომ მკვეთრად შეიცვალა თურქული მხარის რიტორიკა და საკითხის მიმართ მიდგომა, დაფიქსირდა ბოდიში მოხდის პრეცედენტი, თავისმხრივ კრემლმაც ცალსახად დაადასტურა ურთიერთობები ნორმალიზაციის სურვილი. 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის მარტი აპრილამდე განვითარებული მოვლენები მიუთითებს თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის მკვეთ ცვლილებაზე, რუსეთთან დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე.

5. 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორები

5.1 სამხედრო გადატრიალების მცდელობა თურქეთში

2016 წლის 15-16 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა სამხედრო გადატრიალების მცდელობას. მოვლენები სწრაფი განვითარება თურქეთის ხელისუფლებისგან მყისიერ გადაწყვეტილებებს მოითხოვდა, რათა ქვეყანასი შენარჩუნებული არსებული კონსტიტუციური მმართველობა. ყველაფერი 2016 წლის 15 ივლისის საღამოს ადგილობრივი დროით 21:29 სთ-ზე ქ. სტამბოლში ბოსფორისა და ფადი სულთან მეჰმედის ხიდები გადაიკეტა. აღნიშნული ხიდებიდან სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცთა ცოცხალი ძალა მოემართებოდა ქალაქის მიმართულებით. ინფორმაცია პირველად დოგანის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. ქალაქში გზებზე საავტომობილო გადაადგილება შეფერხდა. ქვეყნის დედაქალაქ ანკარას თავზე გამოჩნდა სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავი F-16 და საბრძოლო ვერტმფრენი, ქალაქის ქუჩებში დაიწყო სროლა. ამავდროულად სამხედრო ვერტმფრენი დაფიქსირდა ქ. სტამბოლის თავზეც. ამბოხებულებმა გადაკეტეს ქ. სტამბოლში მდებარე ათათურქის აეროპორტი. ქვეყნის პრემიერ მინისტრმა, ბინალი ილდირიმმა გაავრცელა მიმართვა, სადაც მომხდარს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდა და უსაფრთხოების სამსახურებ შესაბამისი მოქმედებებისკენ მოუწოდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების გენ-შტაბის მეთაური ამბოხებულებს ყავთ მძევლად აყვანილი. ქვეყანაში დაიბლოკა სოციალური ქსელები. ამბოხებულები შეიჭრნენს სახელმწიფო ტელევიზიაში და გამოაცხადეს, რომ ქვეყანას მართავს მშვიდობის საბჭო. 00:26 საათზე, ამბოხის დაწყებიდან 2 საათში ვრცელდება პრეზიდენტ ერდოღანის ვიდეო მიმართვა, სადაც ის მოუწოდებს მოქალაქეებს გამოვიდნენ ქუჩაში და დაიცვან საკუთარი ქვეყანა. ამბოხებულებმა ვერტმბრენებიდან ცეცხლი გაუხსნეს პრეზიდენტის სასახლესა და დაზვერვის სამსახურისა და პარლამენტის შენობებს. ქვეყნის იუსტიციის მინისტრის

განცხადებით, ამბოხებულების უკან ამერიკაში მცხოვრები თურქი სასულიერო ლიდერი ფეთჰულა გიულენი დგას. ადგილობრივი დროით 02:00 სთ-ზე დააკავეს ამბოხებულთა პირველი ჯგუფი.

მალევე ვრცელდება პრემიერ ილდირიმის განცხადებით, ქვეყანაში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. აქვე დასძინა რომ ამბოხებულების უკან ოორგანიზაცია ფეტო და ფეთჰულა გიულენი დგანან. 16 ივლისს 03:20 სთზე პრეზიდენტი ერდოღანი სტამბოლში ჩაფრინდა, დილით თურქეთის მოსახლეობას შეხვდა და განაცხადა, რომ ქვეყანაში სიტუაციას სრულად აკონტროლებს მოქმედი ხელისუფლება (secretariat General of the presidency of Republic of turkey, 2016) თურქეთში მოქმედი ოპოზიციური პარტიი ლიდერებმა ერთხმად გაავრცელეს განცხადება, რომ ისინი მხარს უჭერდნენ არსებულ კონსტიტუციურ წყობას სახელმწიფოში და მკაცრად გმობდნენ ყოველგვარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას (Dailynews, 2016).

თურქეთში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობდა თურქეთის პირველი არმიის ცალკეული დანაყოფები. ამბოხებულთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში კონსტიტუციის ცვლილება, სამხედროებისთვის დაკარგული უფლება მოვალეობების აღდგენა და ფეთჰულა გიულენის მომხრე პირების გადამწყვეტ პოზიციებზე მოსვლა. ექსპერტთა შეფასებით მომხდარი მოვლენების გამომწვევი მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს: სამხედროების უკმაყოფილება არსებული რეჟიმით, ფეთჰულა გიულენის მიერ ორგანიზებული გადატრიალება და თავად გიულენის ვერსია, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ იყო მოვლენები ინსპირირებული (პირველი არხი, 2016).

მოვლენების მსგავსი ტემპით განვითარება დავისა და განსჯის საგანი აღმოჩნდა სოციალური მეცნიერებების შემსწავლელ მკვლევარებსა და პოლიტიკის სფეროში ექსპერტებს შორის. საქარტველოს უშიშროების სამსახური ყოფილი თანამშრომლის, სამხედრო საკითხებში ექსპერტ ანზორ მაისურაძის მოსაზრებით, თურქეთში მომხდარი მოვლენები დაკავშირებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ

გადაწყვეტილებებთან. მისი მოსაზრებით, მოვლენებში ჩანს რუსული სპეცსამსახურების როლი. ექსპერტი მიუთითებს რუსი პოლიტიკოსის ვლადიმერ ჟირინოვსკის მიერ სათათბირო ორგანოში გაკეთებულ განცხადებაზე, რომ ადრე თუ გვიან ერდოღანს აუჯანყდებიან სამხედროები და თურქეთში წესრიგს დაამყარებენო. აქვე დასძენს რომ ჟირინოვსკი რუსული სპეცსამსახურების გამხმოვანებელია და შესაბამისად დასაშვებად მიაჩნია, მოსაზრება რომ გადატრიალების შესახებ ინფორმაცია რუსულმა სპეცსამსახურებმა მიაწოდეს ერდოღანის ხელისუფლებას. გარდა ამისა ექსპერტი საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იშველიებს: „რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, სირიის ამბები გამეორდეს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. აი, ეს იყო მიმანიშნებელი, რომ სახელმწიფო გადატრიალებების ვექტორი გადმოინაცვლებდა იმ რეგიონებისკენ, რომლებიც ისტორიულად და დღევანდელ ვითარებაშიც ფეთქებადსაშიშად არის მიჩნეული. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება თურქეთი, სადაც 1960 წლიდან ოთხჯერ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება“. მისივე მოსაზრებით არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ფეტჰულა გიულენი აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, რადგარ როგორც წესი ასეთ პიროვნებებს ზე სახელმწიფოები ხელიდან არ უშვებენ. შესაბამისად ამბოხების უკან ამერიკული სპეც სამსახურების ირიბი კვალი იკვეთება. (საქართველო და მსოფლიო).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამხედრო გადატრიალების შემდგომ მსოფლიო ლიდერებიდან პირველმა ვლადიმერ პუტინმა დაურეკა ერდოღანს და მხარდაჭერა აღუთქვა სამხედრო გადატრიალების მცდელობის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის მოგვარებაში (dailynews).

დასავლეთის მხრიდან განსხვავებული სახის რეაგირებები მოჰყვა თურქეთში განვითარებულ მოვლენებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, 2016 წლის პერიოდში თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში მკაცრადაა გაკრიტიკებული თურქეთის ხელისუფლება იმ პოლიტიკური

დაპატიმრებების გამო რომელიც წარუმატებელი სამხედრო გადატრიალების შემდგომ ქვეყანაში განხორციელდა. ანგარიშში ნათქვამია, რომ სპეციალური მდგომარეობის დიდი ხნით შენარჩუნება, პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეების საჯარო სამსახურებიდან და ძალოვანი უწყებებიდან განთავისუფლება, ქვეყნიდან დევნა და მოსამართლეების უპირობო დათხოვნა თურქეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის უპრეცედენტო ფაქტია (US State Department). კრიტიკული პოზიცია ჰქონდა ევროკავშრსაც თურქეთში გადატრიალების შემდგომი რეპრესიების მიმართ. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინისა და ევროკომისარ ჯონათან ჰანის ოფიციალური განცხადება აკრიტიკებს თურქეთში გადატრიალების მცდელობის შემდგომ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს და მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას განუხრელად დაიცვას ადამიანის უფლებები (EU External Actions). ევროკომისიის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად თურქეთში დასახელებულია ადამიანის უფლებების დარღვევა განათლების, მედიცინის, იურისპუდენციი, სასამართლოს და სხვა სფეროებში (European commission, 8-14).

5.2 თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები დასავლეთთან

2015-2016 წლებში თურქეთის ურთიერთობები დასალვლეთთან (ევროკავსირი და აშშ) არც თუ სახარბიელოა ანკარასთვის. 2015 წელს ევროკავშირში მიგრანტების კრიზისი მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. არალეგალური მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და თურქეთი წარმოადგენდა. პრობლემის მოსაგვარებლად თურქეთ ევროკავშირის სამიტი შეიმნა რომლის პირველი სხდომაც 2015 წლის 28 ნოემბერს ჩატარდა. სამიტის ფუნქციონირების მთავარი მიზეზი მიგრანტების კრიზისის დარეგულირება და ევროკავშირ თურქეთის ურთიერთობებისთვის ხელის შეწყობა იყო. სირიის კონფლიქტისა და ახლო არმოსავლეთში მზარდი ექსტრემიზმის ფონზე კიდევ უფრო

გაიზარდა რეგიონიდან ევროკავშირში მოხვედრის მსურველთა რაოდენობა. 2016 წლის მარტში თურქეთსა და ევროკავშირს შორის ე.წ. „ლტოლვილთა შესახებ ხელშეკრულება დაიდო“ (refugee deal), რომლის თანახმადაც თურქეთს საკუთარ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველეყო სირიიდან ლტოლვილი მოსახლეობის დაბინავება, სამაგიეროდ ლტოლვილთა უზრუნველსაყოფად მიიღებდა 2.2 მილიარდი ევროს ოდენობის ტრანშს (პირველ ეტაპზე) და უვიზო მიმოსვლას შენგენის ზონის წევრ სახელმწიფოებთან (MFA Turkey). 2016 წელს თურქეთს უარი ეთქვა ვიზალიბერალიზაციაზე. ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში ევროპის პარლამენტის ვიცე პრეზიდენტმა ალექსანდრ ლამბშდორფმა განცხადა, რომ თურქეთი ვერც 2017 წელს ვერ მიიღებს შენგენის ზონაში თავისუფალი გადაადგილების შაშუალებას, მიზეზად რიგი დარღვევები დასახელდა (schengenvisainfo). ლტოლვილთა შეთანხმების დარღვევის ფაქტი ცალსახად უარყოფითან აისახა ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობებზე. გარდა ამისა ურთიერტობებზე მნისვნელოვანი გავლენა იქონია 2016 წლის ზაფხულში თურქეთში არშემდგარი გადატრიალების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა. ევროკავშირი მკაცრად აკრიტიკებდა თურქეთის მიერ საგანგებო მდგომარეობის შემოღების პროცესში გატარებულ პოლიტიკურ რეპრესიებს და ერდოღანის ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდა (BBC). ევროკავშირსა და თურქეთს შორის დაპირიპირებისა და დავის საგანი გახდა ერთის მხრივ თურქეთში დაგეგმილი რეფერენდუმი, რომელზეც ქვეყნის მოსახლეობას სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის ბედი უნდა გადაეწყვიტა, შეცვლიდა თუ არა საპარლამენტო რესპუბლიკას საპრეზიდენტო მმართველობით და მეორე მხრივ ანკარას ხშირად აკრიტიკებდნენ სკივდილით დასჯის დაკანონების ინიციატივის გაჟღერების გამო (brookings, 2017).

განსხვავებით ევროკავშირისგან, აშშ-სთან ურთობები 2016 წლის ზაფხულის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ დაიძაბა. თურქეთის ხელისუფლება გადატრიალებას აშშ-ში მცხოვრებ თურქ რელიგიურ მოღვაწესა და მილიარდელ

ფეთჰულა გიულენს აბრალებდა. მოითხოვდა მის ექსტრადაციას. მიუხედავად ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის კომუნიკაციისა აშშ არ გადასცა თურქეთში ძებნილი ფეთჰულა გიულენი თურქ სამართალდამცავებს. მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ ადამიანის უფლებათა 2016 წლის ანგარიშში თურქეთი მკაცრადაა გაკრიტიკებული გადატრიალებასთან კავსირის ბრალდებით ასი ათასობით ადამიანის დაპატიმრების გამო (State department 2016).

ევროკავშირთად და აშშ-სთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე თურქეთმა პოლიტიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად ჩრდილოეთ რუსეთის ფედერაციისკენ გაიხედა. მიუხედავად 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ გაწყვეტილი ურთიერთობებისა კრემლთან ურთიერტობების დალაგება ვერად მარტივი აღმოჩნდა. ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი თავად რუსეთსა და დასავლეთს შორის წლების განმავლობაში დაპირიპირება გახდა.

რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გართულებაში გადამწყვეტი როლი უკრაინაში მიმდინარე შიდა დაპირსპირებამ ითამაშა, რომლშიც რუსეთის ფედერაცია თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული. ყირიმის ანექსიის, მალაიზიური სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებისა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში რუსეთის მიერ სეპარატისტული ძალების მხარდაჭერის შემდეგ კი დასავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციას სანცქიები დაუწესეს.

დასავლური სამყაროს ქვეშ შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც ცალკე აღებული ევროკავშირი(შემავალი ქვეყნების ჩათვლით), ასევე ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. სამივე შემთხვევაში კოლექტიური თუ ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგად, რუსეთსა და აღნიშნულ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ახალი, კონფროტაციული ფორმა ჩამოყალიბდა.

ყირიმის ანექსიიდან დღემდე რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობები ძირითადად ხისტი პოლიტიკით ხასიათდება, ცალკეული ქვეყნებისა თუ ორგანიზაციების მიერ სანქციების დაწესება და ძირითადი, მაღალი დონის დიპლომატიური ფორუმებიდან რუსეთის დროებითი გარიცხვა. დასავლეთის წამყვანი ქვეყნის ლიდერებმა ეტაპობრივად დაიწყეს რუსეთის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფორუმებიდან გარიცხვა. მაგალითად, ყირიმის ანექსიის შემდეგ დროის მცირე მონაკვეთში. დიდი 8-იანის ქვეყნებმა რუსეთი სამიტზე არ მიიწვიეს. აღსანიშნავია, რომ ამავე სამიტზე, როგორც ბარაკ ობამამ, ისე ანგელა მერკელმა უკრაინაში აგრესიის გაგრძელების შემთხვევაში სანქციების გამკაცრების მზადყოფნა გამოთქვეს (TheGuardian, 2015). დიდი შვიდეულის 2014 წლის კომუნიკეს ტექსტის ხელმომწერმა ქვეყნებმა უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადეს, ხოლო რუსეთთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ კრიზისისა და უკრაინაში სამხედრო მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში სანქციების გამკაცრების გზით, გაზრდიდნენ რუსეთზე ზეწოლას (European Commission 2015).

უკრაინის კრიზისის გამო დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში გაჩენილი კრიზისის კიდევ ერთი თვასაჩინო გამოხატულება ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრების შეჩერებაა. 2014 წლის აპრილში ნატოს წევრმა ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციასთან ორმხირვ მოლაპარაკებების ფორმატში დიალოგი შეწყვიტეს და 2017 წლის 30 მარტამდე არ განუახლებიათ (NATO Russia Council, 2017).

დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესების და ე.წ "ახალი ცივი ომის" დაწყების ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლური ქვეყნებისა და ევროკაშვირის მიერ დაწესებული სანქციებია. სანქციები რუსეთისათვის ისეთ სასიცოცხლო სფეროებს შეეხო, როგორებიც ენერგეტიკული, ფინანსური და ეკონომიკური სექტორებია. აღსანიშნავია, რომ სანქციები დაუწესდათ, როგორც ინდივიდუალურ პირებს, ისე რუსულ სახელმწიფო და კერძო კომპანიებს (European Concil, 2014).

ევროკავშირის მსგავსად რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობები უკრიანის კრიზისის შემდეგ სანქცოებითა და დაძაბულობებით ხასიათდება. 2016 წლის არჩევნების შემდეგ თეთრ სახლში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები განიმუხტებოა, თუმცა ჯერ-ჯერობით უკრაინის კრიზისის გამო დაწესებული სანქციები კვლავ ძალაში რჩება.

თურქეთსა და რუსეთს ერთმანეთის მსგავსად დაძაბული ურთიერთობები გააჩნდათ დასავლეთთან. მსგავსი მოცემულობის პირობებში ანკარასა და მოსკოვს დამატებითი შესაძლებლობა მიეცათ სწრაფად გამოენახათ საერთო ენა. ერთი მხრივ თურქეთში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად აუცილებელი ხდებოდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება. დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება კრემლის წისქვილზე ასხავდა წყალს. მეორე მხრივ რუსეთს დასავლეთთან დაპირიპირების ფონზე ეძლეოდა შესაძლებლობა ნატოს წევრ ქვეყანასთან ეწარმოებინა მჭიდრო ურთიერთობები და ახლო აღმოსავლეთში უპირატესობის შესაქმნელად.

5.3 რუსული სანქციების გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე

2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ თურქეთსა და რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარება ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზეც აისახა. 2015 წლის 28 ნოემბრის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (Указ Президента Российской Федерации от 28.11.2015 г. № 583) შესაბამისად, ქვეყნის მთავრობამ ამავე წლის 30 ნოემბერსა და 29 დეკემბერს გასცა განკარგულებები (Постановление Правительства Российской Федерации от 30.11.2015 г. № 1296) (Постановление Правительства Российской Федерации от 29.12.2015 г. № 1457), რომელთა მიხედვითაც: დანაშაულებრივი და სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან, რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოებისა და რუსეთის

მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად რუსეთის დეფერაცია, თურქეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობაში სპეციალურ ეკონომიკურ ზომებს იყენებს. აღნიშნული ეკონომიკური ზომები სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებებს შეეხო: 1. აიკრძალა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის (ხილი და ბოსტნეული), გაყინული ფრინველის (ქათამი), ყვავილების, მარილის, სუფთა ნატრიუმის ქლორიდისა და ზღვის წყლის იმპორტი. 2. აიკრძალა ან ნაწილობრივ შეიზღუდა თურქული კომპანიების ან თურქეთის მოქალაქეების საკუთრებაში (ან მმართველობაში) მყოფი ფირმების ოპერირება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. 3. რუსეთში მოქმედ ყველა კომპანიას 2016 წლის 1 იანვრიდან აეკრძალათ თურქეთის მოქალაქეების დასაქმება. ის ადამიანები (საუბარია თურქეთის მოქალაქეებზე) ვისაც 2015 წლის 31 დეკემბრამდე დაიწყეს მუშაობა რუსულ კომპანიებში და წესრიგში ჰქონდათ საბუთები, ინარჩუნებდნენ სამსახურებს. 4. 2016 წლის 1 იანვრიდან, რუსეთის ფედერაციის მხრიდან თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა გაუქმდა. 5. გაუქმდა რუსეთსა და თურქეთს შორის ჩარტერული რეისები. რეგულარულ კომერციულ ფრენებზე ზედამხედველობა გაიზარდა. 6. ხელისუფლებამ მოუწოდა ტურისტულ ორგანიზაციები რუსეთის მოქალაქეებისათვის თურქული ტურისტული საგზურების მიყიდვისგან თავი შეეკავებინათ. 7. დროებით შეჩერდა ვაჭრობისა და ურთიერთ თანამშრომლობის საკითხებში რუსეთ-თურქეთის მთავრობათაშორისი კომისიის მუშაობა. 8. შეჩერდა ე.წ. თურქული ნაკადის, შავი ზღვის გაზსადენის მშენებლობის პროექტი. ასევე აკკუიუს (Akkuyu) ატომული ელექტრო სადგურის პროექტი. 8. შეზღუდვები დაწესდა ტრანსპორტირების სფეროში. გამკაცრდა კონტროლი შავი და აზოვის ზღვიდან მომავალ თურქულ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებსა და იმ თურქული სატრანსპორტო კომპანიების ავტომობილებზე, რომლებიც რუსეთის ტერიტორიის გავლით ახორციელებენ ტვირთების ტრანზიტს (Çetinkaya, 2016).

თავისთავად ეკონომიკური სანქციები უმოქმედოა თუ ქვეყნებს შორის არ არსებობს ეკონომიკური ურთიერთობები. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან

მნიშვნელოვნად იზრდება რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური აქტივობების მოცულობა. 2001 წელს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 923 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2007 წლის იგივე მაჩვენებელი 4.31 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება (Ministry of Foreign Affairs of Turkey).

რუსული სანქციები გავლენის შესაფასებლად მნიშვნელოვანია თურქეთის ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების განხილვა. აღსანიშნავია, რომ რუსეთი რიგით პირველი ენერგო მიმწოდებელია თურქეთისთვის. 2014 წლის მონაცემებით თურქეთის ბუნებრივი აირით მომარაგების 98.8% იმპორტზეა დამოკიდებული, საიდანაც 56%-ის მიმწოდებელი რუსეთის ფედერაციაა. 2014 წელს ანკარამ 16.5 მილიარდი აშშ დოლარის რაოდენობის ბუნებრივი აირი შეიძინა კრემლისგან, რაც თურქეთის ენერგო მომარაგების მთლიანი ღირებულების 30% შეადგენს. გარდა ამისა, თურქეთში რუსეთიდან შემოდის რკინა, ფერადი მეტალები და მარცვლეული. 2014 წლის მონაცემებით, თურქეთის მთლიანი საექსპორტო მჩვენებლის 3.8 პროცენტი მოდიოდა რუსეთის ფედერაციაზე, რაც იმავე წლის მონაცემებით თურქეთის მშპ-ს 0.7% შეადგენს. მნიშვნელოვანია ტურიზმის სფერო, 2014 წელს თურქეთში ჩასული 37 მილიონი ტურისტიდან 12.2% რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები იყვნენ. 2014 წლისთვის რუსი ტურისტებისგან მიღებული შემოსავალის მაჩვენებელი 3 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (2014 წლის მაჩვენებელი) 0,3-0,4%-ია. თურქეთის ეკონომიკის რუსეთთან კავშირის მნიშვნელოვანი ხაზია თურქული სამშენებლო კომპანიების კონტრაქტები რუსეთში. 2013, 2014, 2015 წლებში სამშენებლო სფეროში კონტრაქტების ჯამურმა რაოდენობამ 10-12 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საშუალო გაანგარიშებით, მხოლოდ სამშენებლო სფეროში, რუსეთის მხრიდან თურქი კონტრაქტორებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულება თურქეთის მშპ-ს 0,3-0,4% უტოლდება. აღნიშნული მიმართულებით, რუსეთში დასაქმებულ თურქთა რაოდენობა 87 ათას ადამიანს უტოლდება, აქედან 57 ათასი რუსეთსი მოქმედ თურქულ კომპანიებში მუშაობს (2014 წლის მაცვენებლები). ინვესტიციები კუთხით, 2014 წლის განმავლობაში, რუსეთის

მიერ თურქეთში 730 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მქონე პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდა, რაც ამავე წლის მშპ-ს 0,1%-ია. საგულისხმოა ურთიერთობები საბანკო სექტორში, თურქეთის რიგით მერვე უმსხვილესი ბანკი (Denizbank), რომელიც ქვეყნის საბანკო აქტივების 3,6 პროცენტს ფლობს, რუსული „Sberbank"-ის საკუთრებაშია, ხოლო 5 თურქული ბანკი მთლიანადაა მიბმული რუსულ ფინანსურ სახსრებზე. მსგავსი მოცემულობის შემთხვევაში რუსეთის მიერ დაწესებულ სანქციებს, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში, აუცელებლად ექნებოდა გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ეკონომისტების შეფასებით, რუსული სანქციების გავლენით 2016 წლის თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი 0.3 – 0.7%-ით შემცირდა (EBRD).

რუსეთის მიერ თურქეთისთვის დაწესებული სანქციების რეალური ეკონომიკური გავლენა კარგად ჩანს ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკურ მაჩვენებლებში. გამომდინარე იქიდან, რომ სანქციები 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, უპრიანი იქნება 2015 წლის რუსეთ თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სავაჭრო მაჩვნებელების შედარება. 2015 წელს რუსეთ-თურქეთს შორის ვაჭრობის ეკონომიკურმა მაჩვენებელმა 24 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან 20,4 მილიარდი თურქეთის მიერ რუსეთიდან განხორციელებული იმპორტის ღირებულებაა, ხოლო რუსეთში ექსპორტზე გატანილმა პროდუქციამ 3,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საგულისხმოა, რომ თურქეთის მიერ რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციიდან პირველ ადგილს ციტრუსი და ხილი იკავებს (293 მლნ დოლარი), მეორე მაჩვენებელი აქვს პომიდორსა და სხვა ბოსტნეულს (259 მლნ დოლარი), ხოლო მესამეზეა ავტონაწილები (125 მლნ დოლარი) (Russian Exports National Informational Portal). 2016 წლისთვის თურქეთის მიერ რუსეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება 15.16 მილიარდ აშშ დოლარამდე დაეცა. რუსეთიდან იმოპტი რაოდენობის ვარდნა ძირითადად სათბობ რესურსებზე მოდის, როგორიცაა: მინერალური საწვავი, მინერალური ზეთები, დისტილაციის

პროდუუქტები, ბიტუმოვანი ნივთიერებები და ა.შ (ბუნებრივი აირის გამოკლებით). აღნიშნული მაჩვენებელი 2015-2016 წლებში 12,9 მილიარდიდან 8,4 მილიარდამდე შემცირდა. ასევე შემცირდა რუსეთიდან იმპორტირებული რკინისა და ფოლადის, ფერადი ლითონების და მარცვლეულის რაოდენობა. რაც შეეხება რუსეთში ექსპორტირებული საქონლის მთლიანმა რაოდენობამ მხოლოდ 1,73 მილიარდი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,85 მილიარდით ნაკლებია (2-ჯერ შემცირდა). განსაკუთრებით შემცირდა ხილისა და ბოსტნეულის (600 მილიონიდან 344 მილიონამდე), მანქანა დანადგარების ნაწილების (318 მლნ-დან 185 მლნ-მდე), პლასმასის საგნების (186 მლნ დილარიდან 86 მლნ-მდე) ექსპორტი (ITC Trade Map). სანქციების გავლენა მკვეთრად აისახა რუსეთის ფედერაციიდან თურქეთში ჩასული ტურისტების რაოდენობაზე. 2015 წლისთვის 36490003 რუსი ტურისტი ეწვია თურქეთის რესპუბლიკას, ხოლო 2016 წლის ანალოგიური მაცვენებლის მიხედვით მხოლოდ 866256. 2015 წელთან შედარებით 2016 წლისთვის თურქეთში ჩასული ტურისტების რაოდენობამ 9 მილიონით იკლო (ნაცვლად 36,24 მილიონისა დაფიქსირდა 25,35 მლნ), საიდანაც 2,76 მილიონი რუს ტურისტებზე მოდის (Turkish Statistical Institute).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2015-2016 წლების პერიოდში თურქეთის ეკონომიკის დაღმასვლა. 2016 წელს მშპ-ზრდის მაჩვენებელი 2,87% შემცირდა, იგივე მონაცემი 2015 წლისთვის 6,05% შეადგენდა. დაიკლო ქვეყანაში ინვესტიციების და შემოსავლების რაოდენობა (The World Bank). 2016 წლეს თურქეთის ეკონომიკური დაღმასვლის რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: პირველ რიგში სირიის კონფლიქტისა და ისლამური სახელმწიფოს გამოისობით, რეგიონში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რომელიც ქვეყნის დინამიური განვითარებისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. მეორემხრივ ანკარას გაუფუჭდა ურთიერთობები ევროკავშირთან და დაპირისპირებაში ჩაერთო რუსეთთან. (OECD) არსებული პრობლემების ფონზე რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები კატალიზატორი აღმოჩნდა თურქეთის ეკონომიკის დაღმასვლის ასაჩქარებლად 2016 წელს და ეს

ყველაფერი მაშინ, როცა რუსული ბაზარი შესაძლოა არსებული ეკონომიკური პრობლემების დასაბალანსებლად ყოფილიყო გამოყენებული.

5.4 ლიდერის როლი

თურქეთ-რუსეთის თანამედროვე ურთიერთობებში ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება ქვეყნების ლიდერებს შორის პიროვნული ურთიერთგაგების საკითხს. ყველასთვის ცნობილია, რომ რუსეთი ავტორიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოა, სადაც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ძალაუფლება განუზომელია და ხშირად მისი პერსონალური შეხედულებები უშუალოდ აისახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე (Shevtsova, 2015, 25-28). შესაბამისად, რუსეთთან ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესზე, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერის პიროვნულ ურთთიერთობას გავლენა აქვს ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კავშირებზეც. მსგავსი მოცემულობის შემთხვევაში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება პირველი პირების ურთიერთობას. გამომდინარე იქიდან, რომ ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს, თურქეთში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ქვეყანაში რიგი ცვლილებები განხორციელდა, რომლებმაც ათათურქისეული თურქულ რესპუბლიკას ცალსახად სახე უცვალა და ავტორიტარული შინაარსის მქონე რეჟიმი ჩამოაყალიბა ქვეყნის სათავეში, რუსეთისა და თურქეთს შორის მმართველი რეჟიმების მსგავსებამ ქვეყნები უფრო დაახლოვა. თურქეთში ავტორიტარიზმის მანიშნებელი რამდენიმე მნისვნელოვანი გარემოება შეიძლება გამოიყოს: პრეზიდენტ ერდოღანის განუზომელი ავტორიტეტი, ქვეყანასი სამხედრო ელიტის როლის დაკნინება, 2016 წლის გადატრიალების შემდგომ ერდოღანის რეალური საპირწონე ძალის მიმართ (ფეთჰულა გიულენი და

ორგანიზაცია „ფეტო“) განხორციელებული რეპრესიები და 2017 წლის რეფერენდუმი (თურქეთი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელიდან საპრეზიდენტო მმართველობაზე გადავიდა). რიგი ცვლილებების მიზანი ერდოღანის ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გამტკიცება იყო. განსაკუთრებით 2017 წლის რეფერენდუმის შემდგომ სამეცნიერო წრეებში ერთმნიშვნელოვნად საუბრობენ თურქეთში ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებაზე (Cook, 2016) (Cook 2017).

აზერბაიჯანში აშშ-ს ყოფილი ელჩი და ატლანტიკის საბჭოს (Atlantic council) უფროსი მკვლევარის, მეთიუ ბრაიზას მოსაზრებით, ერდოღანსა და პუტის საერთო მსოფლმხედველობა აერთიანებთ, რომელიც ავტორიტარიზმის უპირატესობის რწმენასა და დასავლეთთან დაპირისპირებაზე გადის. საგულისხმოა, რომ ისევე, როგორც პუტინს, ერდოღანსაც არ აქვს თბილი ურთიერთობები ევროპული სახელმწიფოებისა და აშშ-ის ლიდერებთან. მისთვის გაცილებით მარტივია საერთო ენა გამონახოს რუსეთის ერთპიროვნულ მმართველთან ვიდრე ევროპის რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეთაურთან. სწორედ ამ გარემოებით ხსნის მეტიუ ბრაიზა 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ ტურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორის მკვეთრ მობრუნებას რუსეთთან თანამშრომლობის მიმართულებით (Matthew Bryza, 2016).

New Your Times-ის ჟურნალისტი ნეილ მაკფარქარი (NEIL MacFARQUHAR) რუსეთ-თურქეთს შორის არსებულ კავშირს პუტინსა და ერდოღანს შორის კარგი პიროვნული ურთიერთობას უკავშირებს. ამ კონტექსტში მნისვნელოვან ფაქტად მიიჩნევს თურქეთში 2016 წლი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდგომ, პუტინის მიერ გამოხატულ მხარდაჭერას. ხოლო რუსეთ თურქეთის ურთიერთობების წრაფ აღდგენას ლიდერთა პერსონალურ როლს უკავსირებს (NEIL MacFARQUHAR, 2016).

6. თეორიული ჩარჩო

ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში უკვე არსებული თეორიით ახსნილია 2015-2016 წლების პრეიოდში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში განვითარებული მოვლენები, კერძოდ თურქეთის სახელმწიფოს დევიაციური ქცევა, რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება. ამ მიზნით გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია. ეს უკანასკნელი მოახდენს 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში, თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორების ილუსტრირებას და გამოკვეთავს მიღებული გადაწყვეტილების ამხსნელ საფუძველს.

ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ხედვით საერთაშორისო სისტემის ბუნება ანარქიულია. ხოლო სახელმწიფოს განიხილავს ზემოდან-ქვემოთ (Top-down) კონცეფციით. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა კი მოითხოვს იმ კონტექსტის მჭიდრო გაგებას, რომელშიც ეს პოლიტიკა ფორმირდება (Lobell Steven, 2009, 23-35). გიდეონ როუსი გამოყოფს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედ სამ ფაქტორს: საერთაშორისო სისტემა, გადაწყვეტილების მიმღები პირები და სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სტრუქტურა. საერთაშორისო სისტემის დონეზე, თავად სისტემა და სახელმწიფოთა შედარებითი ძალა (relative power) განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის რხევის ამპლიტუდასა და მოქმედების არეალს. შესაბამისად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე სისტემის ზეწოლას ერთ-ერთი მთავარი, თუმცა არა ერთადერთი განმსაზღვრელი მნისვნელობა ენიჭება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოიაზრებიან ლიდერები და პოლიტიკური ელიტა სადაც საგარეო პოლიტიკის ფორმირება ხდება. სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სტრუქტურა, საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ქვეყნის შიგნით (domestic level) არსებული ფაქტორების გავლენას აღწერს. აღნიშნული პოსტულატების

ურთიერთქმედება ხსნის ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებასა თუ კონკრეტულ გადაწყვეტილებას (Rose, 1998, 151-157).

ჩემი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2015-2016 წლებში თურქეთ რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის, რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე, ცვლილების ახსნა. გიდეონ როუსის კონცეფციის მიხედვით, მოცემულ კონტექსტში (2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა) თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი სისტემური, საგარეო ფაქტორებია: ა. თურქეთისა და რუსეთის დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან (ევროკავშირი, აშშ) და ბ. რუსული სანქციების გავლენა ტურქეტის ეკონომიკაზე. საგარეო პოლიტიკის ფორმირების კიდევ ერთი განმსაზღვრელია გადაწყვეტილების მიმღები პირები. ამ შემთხვევაში საუბარია თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანისა და რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინს შორის არსებულ მჭიდრო პიროვნულ ურთიერთობებსა და მსგავს მსოფლმხედველობაზე (ორივე ლიდერისთვის დამახასიათებელი ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილება, დასავლეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის წამყვანი როლის რწმენა). როუსის მიხედვით სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების კიდევ ერტი მნიშვნელოვანი განზომილებაა შიდა დონეზე არსებული მდგომარეობა. ამ მიმართულებით თურქეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენა იქონია 2016 წლის ივლისში ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ. ეს უკანასკნელი ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა ერდოღანისა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში, ხოლო მეორე მხრივ კატალიზარტორის როლი ითამაშა რუსეთთან ურთიერთობების დალაგების კუთხით.

როუსის ნეოკლასიკური რეალიზმის კონცეფციის მიხედვით, 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის (რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირების პოლიტიკიდან დროის მცირე მონაკვეთში მწიდრო თანამშრომლობაზე გადასვლა) ფორმირებაზე გავლენა იქონია

სისტემურმა (დასავლეთთან ურთიერთობები, რუსული სანქციები), გადაწყვეტილების მიმღები პირებისა (ქვეყნების პრეზიდენტების პირადი ურთიერთობები და მსოფლმხედველობა) და ქვეყნის სიდა პოლიტიკურ დონეზე (სამხედრო გადატრიალების მცდელობა) მოქმედმა ფაქტორებმა.

7. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა გამოეკვლია თუ, რამ განაპირობა 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, დროის მოკლე მონაკვეთში, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე. მკვლევარის ხელთ არსებული მონაცემების, ოფიციალური დოკუმენტების და აკადემიური წყაროების გაანალიზების საშუალებით ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაემტკიცებინა ჰიპოთეზა: 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე - თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, თურქეთისა და რუსეთის ევროკავშირთან დაძაბულ ურთიერთობას, რუსული სანქციების ეკონომიკურ გავლენასა და ლიდერთა პიროვნულ ფაქტორებს უკავშირდება. ნაშრომში დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენდა: 2015 წლის 24 ნოემბრის ინციდენტის შემდგომ, დროის მცირე მონაკვეთში, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ვექტორის მკვეთრი ცვლილება დაპირისპირებიდან თანამშრომლობამდე, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებს: 2016 წლის 15-16 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თურქეთში, რუსეთისა და თურქეთის დაძაბული ურთიერთობები ევროკავშირთან, რუსული სანქციების გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე და რუსეთსა და თურქეთში რეჟიმების ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი ბუნება და ლიდერების პიროვნული ფაქტორი.

კვლევის პროცესში გაანალიზებული იქნა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები XXI საუკუნეში, 2015 წლის ნოემბრის ინციდენტის შემდგომ ორი ქვეყნის დაპირისპირება და დაწესებული სანქციების შედეგები, რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობები დასავლეთთან და სახელმწიფოთა ლიდერებს შორის არსებული პიროვნული კავსირებისა და 2016 წლის ზაფხულში თურქეში სამხედრო გადატრიალების უშედეგო მცდელობის გავლენა პროცესებზე.

2015-2016 წლებში რუსეთთან მიმართებაში თურქეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების ასახსნელად, ნაშრომში გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია. კერძოდ, გიდეონ როუსის მიერ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების მოდელი. თეორიის მოდელის მიხედვით სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირება გაგებულ უნდა იქნას კონკრეტულ კონტექსტში რამდენიმე ფაქტორის ზემოქმედების საფუძველზე. თეორიის პოსტულატებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: საერთაშორისო სისტემის ზეწოლა, ლიდერის როლი და ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტრუქტურა, ახსნილია 2015-2016 წლებში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირებიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე.

ბიბლიოგრაფია

წიგნები:

- Kirisci, Kemal. *"Turkey and The West"* Brooking institution press, 2017.
- Ziya Öniş and Şuhnaz Yılmaz „Turkey and Russia in shifting global order: cooperation, conflict and asymmetric interdependence in a turbulent region" Third World Quarterly 21.08.2015
- ზურაბიშვილი, თინათინ . "*თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში"*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
- Bridget Somekn and Cathy Lewin. *RESEARCH METHODS IN THE SOCIAL SCIENCES* 2005
- *Odell. Jon. S. "THE RUSSIAN FOREIGN ENERGY POLICY" International studies Perspective 2001*
- Gvosdev Nikolas – „*Russian Foreign policy: interests, Vectors and Sectors*" SAGE, London 2013
- Lobell E. Steven, Pirsman M Norria, Taliaferr W. Jeffrey – "*Neoclassical Realism the State and Foreign Policy*" Cambridge university press New Your 2009
- Rose Gideon - "Neoclasical Realism and Theories of Foreign Policy" Cambridge university press 1998

აკადემიური ჟურნალები:

- Aktürk Şener -„Turkısh-Russıan Relatıons, 2002-2012" Caspian Strategy institute Center for Politics & International Relations Studies 2013 გვ. 3-5;
- Mancoff Jeffrey – „A Friend in Need? Russia and Turkey after the Coup" Center for Strategic and International Studies 2016 იხ. ლინკი:

https://www.csis.org/analysis/friend-need-russia-and-turkey-after-coup ნანახია: 29.06.2017

- Yucel V. & Ruysdael S. "New Trend in Turkish Foreign Affairs" Writers Club Press New-York 2002.
- Shevtsova Lilia „Forward to the Past in Russia", journal of democracy, 2015 იხ. ლინკი: www.journalofdemocracy.org/sites/default/files/Shevtsova-26-2.pdf ნანახია: 30.06.2017
-

სხვა წყაროები:

- Ministry of Foreign Affairs of Turkey; *Turkey's Comercial and Economic Relations With Russian Federation* იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/turkey_s-commercial-and-economic-relations-with-russian-federation.en.mfa ნანახია: 26,06,2017;
- Grigoriadis N. „The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy" Bilkent University 2010 გვ.4-6 იხ. ლინკი: http://www.eliamep.gr/wp-content/uploads/2010/05/IoGrigoriadis1.pdf ნანახია: 25.06.2017
- UN – „Report of the Secretary-General's Panel of Inquiry" - 2011 იხ. ლინკი: http://www.un.org/News/dh/infocus/middle_east/Gaza_Flotilla_Panel_Report.pdf ნანახია 25.06.2016
- TURKISH NATIONAL COMMISSION OF INQUIRY – „*REPORT ON THE ISRAELI ATTACK ON THE HUMANITARIAN AID CONVOY TO GAZA ON 31 MAY 2010*" – 2010 იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/data/Turkish%20Report%20Final%20-%20UN%20Copy.pdf ნანახია 25.06.2017
- POLITIKEN – „*Exclusive Erdogan-interview*" იხ. ლინკი: http://politiken.dk/newsinenglish/art5707165/Exclusive-Erdogan-interview-%C2%BBWe-see-a-human-tragedy-before-our-eyes%C2%AB ნანახია: 25,06,2017

- Ministry of Foreign Affairs of Israel – *„PM Netanyahu's statement at his press conference in Rome“* 29.06.2016 იხ. ლინკი: http://mfa.gov.il/MFA/PressRoom/2016/Pages/PM-Netanyahus-statement-in-Rome-27-June-2016.aspx ნანახია 25.06.2017
- dailysabah – „Turkish minister calls for end to Israel-Palestine conflict in first Israel visit since 2010“ – 07.02.2017 იხ. ლინკი: https://www.dailysabah.com/diplomacy/2017/02/07/turkish-minister-calls-for-end-to-israel-palestine-conflict-in-first-israel-visit-since-2010 ნანახია: 25.06.2017
- Israel Today – „Israeli apology to Turkey creates firestorm at home“ 24.03.2013 იხ. ლინკი: http://www.israeltoday.co.il/NewsItem/tabid/178/nid/23754/Default.aspx ნანახია: 25.06.2017
- Ministry of Foreign Affairs of Turkey – „Turkey´s Political Relations With Russian Federation“ იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/turkey_s-political-relations-with-russian-federation.en.mfa ნანახია: 25.06.2017
- Russian Federation federal state statistics service - იხ. ლინკი: http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/en/figures/activities/ ნანახია: 25.06.2017
- Ozel Soli – *„The Crisis in Turkish-Russian Relations“,* Center for American Progress 10.05.2016
- Gazprom – Blue Stream იხ. ლინკი: www.gazprom.com/about/production/projects/pipelines/blue-stream/ ნანახია: 28.06.2017
- Gazprom–TurkStream იხ.ლინკი: www.gazprom.com/about/production/projects/pipelines/built/turk-stream/ ნანახია: 28.06.2017
- Akkuyu Nuclear Power Plant - იხ. ლინკი www.akkunpp.com/projenin-tarihcesi ნანახია: 28.06.2017

- Cornell Svante, *„Turkey and the Conflict in Nagorno Karabakh: A Delicate Balance“*, Journal Middle eastern Studies, Taylor&Francis 1998
- Akturk Sener – „The Crisis in Russian-Turkish Relations, 2008-2015“ Russian analytical digest, Istambul, 2016
- Ministry of Foreign Affairs of Turkey – "Turkey´s Political Relations With Russian Federation" იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/turkey_s-political-relations-with-russian-federation.en.mfa ნანახია: 28.06.2017
- BBC – *„Turkey's downing of Russian warplane“* იხ. ლინკი: http://www.bbc.com/news/world-middle-east-34912581 ნანახია: 28.06.2016
- Theguardian – „Russia won't forget downed jet, Putin warns Turkey in annual address“ იხ. ლინკი: https://www.theguardian.com/world/2015/dec/03/turkey-will-keep-regretting-shooting-down-jet-vladimir-putin ნანახია: 28.06.2017
- BBC NEWS – „Turkey won't apologize for downing Russian warplane, Erdogan says“ იხ. ლინკი: http://edition.cnn.com/2015/11/26/middleeast/syria-turkey-russia-warplane-shot-down/index.html ნანახის: 27.06.2017
- Aljazeera – „World leaders react to Turkey's downing of Russian jet“ იხ. ლინკი: http://www.aljazeera.com/news/2015/11/russian-jet-shot-turkey-syria-reaction-151124210400768.html ნანახია 28.06.2017
- President of Russia – „Vladimir Putin received a letter from President of Turkey Recep Tayyip Erdogan“, 27.06.2016 იხ. ლინკი: http://en.kremlin.ru/events/president/news/52282 ნანახია: 28.06.2017
- YouTube – „Мевлют Чавушоглу готов лично извиниться перед семьёй убитого лётчика Пешкова“, 02.11.2016 იხ. ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=5Kh4m_f5cJE ნანახია: 28.06.2017
- Center for Strategic and International Studies – „A Friend in Need? Russia and Turkey after the Coup“ 2016 იხ. ლინკი: https://www.csis.org/analysis/friend-need-russia-and-turkey-after-coup ნანახია 28.06.2017

- Secretariat General of the presidency of Republic of turkey – „July 15 coup attempt in turkey and people's victory" 08.2016 იხ. ლინკი: https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2016-09-22-15temmuz-en.pdf ნანახია 27.06.2017
- პირველი არხი, ბერაია ქეთი - „გადატრიალების მცდელობა თურქეთში" 2016 იხ. ლინკი: http://www.myvideo.ge/v/2931795 ნანახია 27.06.2016
- მაისურაძე ანზორ - საქართველო და მსოფლიო 2016 იხ. ლინკი: http://geworld.ge/ge/8443/ ნანახია: 27.06.2017
- Dailynews – „Turkey thanks Putin for unconditional support over coup attempt" 25.07.2016 იხ. ლინკი: http://www.hurriyetdailynews.com/turkey-thanks-putin-for-unconditional-support-over-coup-attempt--.aspx?PageID=238&NID=102062&NewsCatID=510 ნანახია: 27.06.2017
- State Department – „TURKEY 2016 HUMAN RIGHTS REPORT" 2016 იხ. ლინკი: https://www.state.gov/documents/organization/265694.pdf ნანახია 27.06.2017
- Dailynews - „Opposition parties reject the military coup attempt" 16.07.2016 იხ. ლინკი: http://www.hurriyetdailynews.com/opposition-parties-reject-the-military-coup-attempt.aspx?pageID=238&nID=101670&NewsCatID=341 ნანახია: 27.06.2017
- EU External Actions – „Statement by High Representative/Vice-President Federica Mogherini and Commissioner Johannes Hahn on the declaration of the State of Emergency in Turkey" 21.07.2016 იხ. ლინკი: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/7283_en ნანახია 27.06.2017
- Minitry of Foreign Affairs of turkey – „EU- Turkish Relations" იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/relations-between-turkey-and-the-european-union.en.mfa ნანახია: 29.06.2017

- Schengenvisainfo – „Turkey visa deal 'unlikely' in 2017" 03.11.2016 იხ. ლინკი: https://www.schengenvisainfo.com/turkey-visa-deal-unlikely-2017-say-eu-officials/ ნანახია 29.06.2017
- BBC – „EU criticises Turkey over human rights and democracy", იხ. ლინკი: http://www.bbc.com/news/world-europe-34774624 ნანახია: 29.06.2017
- Brookings – „The Turkish Constitutional Referendum", 12.04.2017 იხ. ლინკი: https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2017/04/13/the-turkish-constitutional-referendum-explained/ ნანახია 29.06..2017
- State department – „TURKEY 2016 HUMAN RIGHTS REPORT" 2016 იხ. ლინკი: https://www.state.gov/documents/organization/265694.pdf ნანახია: 29.06.2017
- TheGuardian – „Obama lambasts Putin: you're wrecking Russia to recreate Soviet empire" 08.06.2015 იხ. ლინკი: https://www.theguardian.com/world/2015/jun/08/g7-leaders-sanctions-russia-ukraine-conflict-obama ნანახია 29.06.2017
- European Commission – „G7 Leaders' Communiqué, June 2014 – Foreign Policy" Press relies 2014 იხ. ლინკი: http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-637_en.htm ნანახია: 29.06.2017
- NATO Russia Council – „The NATO-Russia Council (NRC) was conceived as a mechanism for consultation, consensus-building, cooperation, joint decision and joint action", იხ. ლინკი: http://www.nato.int/cps/it/natohq/topics_50091.htm ნანახია: 29.06.2017
- European council – „ COUNCIL REGULATION (EU) No 269/2014", 2014 იხ. ლინკი: http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2014:078:0006:0015:EN:PDF ნანახია: 29.06.2017
- Правительство России *„Постановление Правительства Российской Федерации от 29.12.2015 г. № 1457"* იხ. ლინკი: http://government.ru/docs/all/105067/ (ნანახია 26.06.2017)

- Правительство России *„Постановление Правительства Российской Федерации от 30.11.2015 г. № 1296“* იხ. ლინკი: http://government.ru/docs/all/104369/ (ნანახია 26.06.2017)
- Официальные сетевые ресурсы Президента России *„Указ Президента Российской Федерации от 28.11.2015 г. № 583“* იხ. ლინკი: http://kremlin.ru/acts/bank/40248 (ნანახია 26.06.2017)
- Çetinkaya, Orçun and Tuzcu Ersin, Burcu - *"Russian Sanctions Against Turkey"*, MOROGLU ARSEVEN February 9, 2016 იხ. ლინკი: https://www.morogluarseven.com/news/russian-sanctions-turkey (ნანახია 26.06.2017)
- Ministry of Foreign Affairs of Turkey; *Turkey's Comercial and Economic Relations With Russian Federation* იხ. ლინკი: http://www.mfa.gov.tr/turkey_s-commercial-and-economic-relations-with-russian-federation.en.mfa ნანახია: 26,06,2017;
- Bilgic-Alpaslan I. Markovic B. Tabak P. and Zildrovic E. - European Bank for Reconstruction and Development – *Economic implications of Russia's sanctions against Turkey* – 07.12.2015 იხ. ლინკი: www.ebrd.com/news/2015/economic-implications-of-russias-sanctions-against-turkey.html ნანახია 26,06,2017;
- Russian Exports National Informational Portal – *Turkish-Russian Bilateral Trade* – 02.11.2016 იხ. ლინკი: http://www.rusexporter.com/research/country/detail/5041/ ნანახია: 26.06.2017
- International Trade Statistic – Trade Map – *Bilateral trade between Turkey and Russian Federation* იხ. ლინკი: www.trademap.org/bilateral_TS.aspx?nvpm=1 ნანახია: 26.06.2017
- Turkish Statistical Institute – *Arriving Foreigners and Citizens* - იხ. ლინკი: www.turkstat.gov.tr/PreTablo.do?alt_id=1072 ნანახია: 26.06.2017
- The World Bank – Turkey - იხ. ლინკი: http://data.worldbank.org/country/turkey ნანახია: 26.06.2017

- Organization of Economic Cooperation and Development (OECD) – Turkey Overview – 2016 july იხ. ლინკი: https://www.oecd.org/eco/surveys/turkey-2016-OECD-economic-survey-overview.pdf ნანახია: 26.06.2017
- Cook A. Steven – „How Erdogan Made Turkey Authoritarian Again“, TheAtlantic, 2016 იხ. ლინკი: https://www.theatlantic.com/international/archive/2016/07/how-erdogan-made-turkey-authoritarian-again/492374/ ნანახია: 30.06.2017
- Cook A. Steven - „No, Erdogan was not an authoritarian all along“ Washington post, 20.04.2017 იხ. ლინკი: https://www.washingtonpost.com/posteverything/wp/2017/04/20/no-erdogan-was-not-an-authoritarian-all-along/?utm_term=.f1f01502e958 ნანახია: 30.06.2017
- Bryza Matthew – „PUTIN AND ERDOGAN: TOO ALIKE TO GET ALONG?“ Atlancit Council 2016 იხ. ლინკი: http://www.newsweek.com/putin-and-erdogan-too-alike-get-along-436100 ნანახია: 30.06.2017
- NEIL MacFARQUHAR – „Warming Relations in Person, Putin and Erdogan Revive Pipeline Deal“ new Your Times, 2016 იხ. ლინკი: https://www.nytimes.com/2016/10/11/world/europe/turkey-russia-vladimir-putin-recep-tayyip-erdogan.html ნანახია: 30.06.2017
-